TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 08 / 2017

თბილისი 11 თებერვალი 2017 წ.

სხდომა დაწყების დრო: 12.00
სხდომის დასრულების დრო: 13.00

სხდომას ესწრებოდნენ:
პროფესორები: პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი, პროფ. ხათუნა ქორიძე, ასოც.პროფ. რუსუდან დევნოზაშვილი, ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილი, ასოც პროფ. ხათუნა კალაძე, ასოც. პროფ. ირინა კალანდაძე, ასოც. პროფ. ვლადიმერ ხუტაშვილი ასოც. პროფ. ელენე ნიკობაძე ასისტ. პროფ. მედეა დარასელია, ასოც პროფ. სერგო ციცხვაია, ასოც. პროფ. ნინო ქვანია, ასოც. პროფ. თამარ ვახტანგაძე.
სტუდენტები: თ. ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი, თ. მერებაშვილი, ზ. ენგოიანი, მ. გაბუნია, ლ.ხმელიძე
ქვორუმი: 16

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ლ. ობგაიძე

დღის წესრიგი:

1. თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე შიდა მობილობით სტუდენტის გადმოსვლისა და მის მიერ გავლილი სასწავლო დისციპლინების დაკრედიტების საკითხი (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე);
2. თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე მედიცინის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების თაობაზე (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე)

მოისმინეს:
თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე შიდა მობილობის წესით გადმოსვლა სურს ეკონომიკის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და

...თვის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტ ილხამ სადიგოვს. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტმა, ფაკულტეტიდან, სადაც ის სწავლობდა, წარმოადგინა აკადემიური ბარათის ასლი, რომლის მიხედვითაც უნდა უღიარდეს სასწავლო კრედიტები თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში. ფაკულტეტის საბჭომ აღნიშნული სასწავლო ბარათის მიხედვით განიხილა სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონაცემები და გაკეთდა შედარება თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ დაუკრედიტდეს გავლილი სასწავლო დისციპლინები შემდეგნაირად:

1. ილხამ სადიგოვს - 11 ECTS კრედიტი

| № | სასწავლო კურსის დასახელება (ორივე პროგრამით) | სტატუსი | კრედიტი | შეფასება |
|---|---|---|---|---|
| 1 | თანამედროვე ინფორმაც. ტექნოლოგიები | სავალდებ. | 3 | 51 (E) |
| 2 | ინგლისური ენა I | სავალდებ. | 4 | 52 (D) |
| 3 | ინგლისური ენა II | სავალდებ. | 4 | 52 (C) |
| 13 | სულ | | 11 | |

მეორე საკითხთან დაკავშირებით, პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია მედიცინის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ფარმაციის საბაკალავრო საგანმამათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ. მომხსენებლმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაასრულა მუშაობა აღნიშნულ პროგრამებზე, წარმოადგინეს სილაბუსები, რომლებიც შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი წესისა და აკრედიტაციის სტანდარტების თანახმად, პროგრამების მიზნები შეესაბამება თბილისის ჰუმანტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას, სწავლის შედეგები მიღწევადია და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე, პროგრამებს გააჩნია მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, სწავლისა და სწავლების მეთოდები ადეკვატურია სწავლის შედეგებთან, სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო ლიტერატურა და სხვა რესურსები უზრუნველყოფილია. მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა პროგრამების განმახორციელებელ პირებზე, აკადემიურ პერსონალზე, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა პროგრამების შედგენაში და რომლებიც პროგრამის ფარგლებში მოწვეულნი არიან ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინების წასაკითხად. მოხდა პროგრამების გარე და შიდა შეფასება, ჩაატარდა ბაზრის კვლევა, პროგრამებისთვის მოიძიებულ იქნა ორგანიზაციები, კლინიკები, სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლინიკური პრაქტიკის განხორციელებას. მომხსენებელმა წარმოადგინა მედიცინის ერთსაფეხურიანი

...ართულენოვანი და ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები დანართი 1, დანართი 2-ის სახით და დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილმა და ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძემ

კენჭისყრის შედეგი: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს დამსწრე 14-ვე წევრმა.

გადაწყვიტეს:

1. ეკონომიკის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი სადიგოვი ილჰამ გადაყვანილ იქნას შიდა მობილობით ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე 11 (ECTS) კრედიტის აღიარებით;
2. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს თჰუ აკადემიურ საბჭოს მედიცინის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები დანართი 1-ის და დანართი 2-ის სახით;

3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე: ი. საყვარელიძე

მდივანი: ლ. ობგაიძე